

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „კარგო პარსელი 405341063

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31/12/2021	31/12/2020
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	13 643 915	13 711 790
სულ გრძელვადიანი აქტივები		13 643 915	13 711 790
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	15 633	5 070
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1 899 150	1 850 769
ფული და ფულის ექვივალენტები	5	964	24 610
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად		2 795 069	
გაცემული ფულადი სახსრები			
სულ მიმდინარე აქტივები		4 710 816	1 880 449
სულ აქტივები		18 354 731	15 592 244
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 248 861	-1 059 644
სულ კაპიტალი		1 248 861	-1 059 644
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		14 827 514	15 954 494
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14 827 514	15 954 494
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2 278 356	697 394
მოკლევადიანი სესხები		0	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2 278 356	697 394
სულ ვალდებულებები		17 105 870	16 651 888
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18 354 731	15 592 244

დირექტორი : იოსებ პატარაია

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

**მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

		2021	2020
ამონაგები	9	7 836 560	4 980 788
სხვა შემოსავალი			1 191
სხვა შემოსავლები(საპროცენტო)		168 926	49 304
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		349 739	275 339
გადაზიდვის მომსახურების ხარჯები		4 354 601	2 783 084
იჯარის ხარჯები			
ცვეთა და ამორტიზაცია		249 094	82375
სხვა ხარჯები	10	201 699	99 510
კურსთა შორის სხვაობა წმინდა		753 803	-1 579 614
საპროცენტო ხარჯები		1 295 651	1 200 033
მოგება გადასახადამდე		2 308 505	-988 672
მოგების გადასახადი			
პერიოდის მოგება/ზარალი		2 308 505	-988 672

დირექტორი : იოსებ პატარაია



30 სექტემბერი 2022 წელი
თბილისი, საქართველო

6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	0	-70 972	-70972
წმინდა მოგება		-988672	-988672
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		-988672	-988672
გაცემული დივიდენდი			
2021 წლის 1 იანვარი		-1 059 644	-1 059 644
მოგების ზრდა		1 554 702	1 554 702
სხვა სრული შემოსავალი		753 803	753 803
პერიოდის სრული შემოსავალი		2 308 505	2 308 505
გაცემული დივიდენდი			
საწესდებო კაპიტალის ზრდა			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	11		
2021 წლის 31 დეკემბერი		1 248 861	1 248 861

დირექტორი : იოსებ პატარაია



30 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კარგო პარსელი“ (ს/კ405341063) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 19/06/2019-ს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია **საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, წყნეთის გზატკეცილი, N 2, ბლოკი A, ბ. 10** 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 66,7 % წილის მფლობელია: იოსებ პატარაია , 33,3 % წილის მფლობელია მამუკა დალაქიშვილი.

კომპანიის გენერალური დირექტორია იოსებ პატარაია

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასაქონლო ტვირთების დატვირთვა-გადატვირთვა მომსახურების გაწევა, ბათუმის პორტის ტერიტორიაზე. ასევე კომპანიას გააჩნია საბაჟო საწყობი სადაც ხდება ტვირთების მიღება დასაწყობება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „*ბრძანება № 6-ს*“ ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2021	31/12/2020
1 USD/GEL	3,0976	3,2766

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

კომპანია ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისათვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს, რადგან მენეჯმენტის აზრით წრფივ მეთოდი სამომავლოდ უკეთ ასახავს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს.

ძირითადი საშუალების სხვა ერთეულების წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
სხვა ძირითადი საშუალებები	3-5

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი.

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით,

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

4. გრძელვადიანი აქტივები:

ძირითადი საშუალებები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2021	13 762 684	31 481	0	13 794 165
შემოსვლა	19 292	20 865	141 061	181 219
გასვლა		0		0
31 დეკემბერი 2021	13 781 976	52 346	141 062	13 975 384
ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2021	77 952	4 422	0	82 375
პერიოდის ცვეთა	222 227	6 845	20 022	249 094
გასვლა				
31 დეკემბერი 2021	300 179	11 267	20 022	331 469
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2021	13 714 732	27 059		13 711 790
31 დეკემბერი 2021	13 481 797	41 079	121 040	13 643 915

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

არამატერიალური აქტივი

აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2021	პერიოდის ცვლათა	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2020
			0	0	

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2021	31/12/2020
ნაღდი ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე	964	24 610
სულ	964	24 610

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო მოთხოვნები	1 681 639	638 509
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ		0
გადახდილი ავანსები	7795	8299
საგადასახადო აქტივი		15 859
გაცემული სესხი	2 795 602	1 147 849
მისაღები პროცენტები	209 183	40258
სულ	4 694 219	1 850 774

7. მარაგები

	31/12/2021	31/12/2020
საწვავი		
სხვა მარაგები	15 633	5070
სულ	15 633	5070

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	977 690	675 592
მიღებული ავანსები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1302
საგადასახადო ვალდებულებები	24 672	20500
საპენსიო ვალდებულებები		6007
სულ	1 002 362	697 394

9. ამონაგები

	2021	2020
შიდა, დატვირთვა-გადატვირთვა	2 294 172	1 883 449
დატვირთვა-გადატვირთვა		
საერთაშორისო გადაზიდვებისთვის	5 542 388	3 097 339
სულ	7 836 560	4 980 788

შპს „კარგო პარსელი“
(თანხები მოცემულია ლარში)

10. სხვა ხარჯები

	2021	2020
სხვა ხარჯები	186 699	86 510
საკონსულტაციო ხარჯები	15 000	13 000
სულ	201 699	99 510

11. სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში:

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის.

რუსეთის შეჭრა, უკრაინაში, საერთაშორისო მართაბით დაიგმო . ბევრმა ქვეყანამ დააწესა სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის.

შეიზღუდა, შავ ზღვაში, გემების მიმოსვლა, რუსეთ -უკრაინის მიმართულებით, რამაც გამოიწვია კომპანიისთვის ტვირთბრუნვის შემცირება დაახლოებით 25% , აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ომის გამო, ცენტრალური აზიიდან, საქართველოს გავლით დაიწყო ტვირთების გადაადგილება, სწორედ ცენტრალური აზიიდან წამოსულმა ტვირთებმა კომპანიას დაუბალანსა მიღებული ზარალი (შემცირებული ტვირთბრუნვა რუსეთ - უკრაინიდან) ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე კომპანია არ აფასებს რუსეთ- უკრაინის ომს პირდაპირ საფრთხედ და რისკის შემცველ მოვლენად კომპანიის ოპერირებისთვის.

კომპანიის ძირითად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ რაიმე სხვა მნიშვნელოვან მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი : იოსებ პარსელია

30 სექტემბერი 2021 წელს
თბილისი, საქართველო

6 - 16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

